კვლავ მოგება

ალმა-ატა. რესპუბლიკური სტადიონი. 25 აგვისტო.

“კაირატი” (ალმა-ატა) - “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:2).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, პეტრიაშვილი, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

“კაირატი”: ბელასიკოვი (ლისიცინი), სტულოვი, სტეპანოვი, კამინსკი, ოსტროუშკო, ფედოტოვი (ლუკიანოვი), პარიგინი, ჩენცოვი, სკულკინი, კუზნეცოვი, მალცევი.

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

მატჩი მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა ბარქაიამ. ტაიმის ბოლო წუთებზე მანვე მეორედ გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში - 2:0.

მეორე ტაიმის მე-9 წუთზე “კაირატის” ცენტრალურმა თავდამსხმელმა კუზნეცოვმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა. დარჩენილ დროს ცვლილება ანგარიშში არ მოუხდენია. თბილისელებმა მოიპოვეს მეტად საჭირო 2 ქულა - 2:1.

“ლელო”, 26 აგვისტო, 1963 წ.